



„მზა-ჩანაწერების“ (Cookies) პოლიტიკა

რა არის „მზა-ჩანაწერები“ (Cookies)?

„მზა-ჩანაწერები“ (Cookies) წარმოადგენს მცირე ზომის ტექსტურ ფაილებს, რომელსაც ვებგვერდი თქვენი სტუმრობისას თქვენსავე კომპიუტერში ან მობილურ ტელეფონში ინახავს. „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) გვებმარება უკეთ ვმართოთ და გავაუმჯობესოთ ვებგვერდის ეფექტურობა. „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) მეშვეობით ჩვენ ვაკვირდებით ვებგვერდზე მომხმარებლების ქცევას, რათა მოვახდინოთ თქვენი გამოცდილების პერსონალიზება და მოგცეთ საშუალება, გამოიყენოთ ვებგვერდის ბევრი სასარგებლო ფუნქცია.

personaldata.ge-ის ვებგვერდი იყენებს „პირველი მხარის მზა-ჩანაწერებს“, რომლებიც აუცილებელია personaldata.ge ვებგვერდის მიერ მომხმარებლის მოთხოვნილი მომსახურების შეთავაზებისთვის.

"პირველი მხარის მზა-ჩანაწერები" არის ისეთი ტიპის "მზა-ჩანაწერები", რომლებიც გამოიყენება მხოლოდ personaldata.ge-ის ვებგვერდის მიერ, არ გადაეცემა მესამე მხარეს (მაგალითად Google-ს) და უმეტეს შემთხვევაში აუცილებელია ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის.

personaldata.ge-ის ვებგვერდი იყენებს ასევე „მესამე მხარის მზა-ჩანაწერებს“, რომლებიც ამარტივებს ვებგვერდზე მუშაობას ან გამოიყენება მხოლოდ ვებგვერდის მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების მისაღებად.

რა „მზა-ჩანაწერებს“ და როგორ ვიყენებთ?

სამსახურის ვებგვერდზე გამოიყენება შემდეგი „მზა-ჩანაწერები“ (Cookies):

„მზა-ჩანაწერის“ (Cookies) დასახელება

აღწერა

ყალბი მოთხოვნის
აღკვეთის მარკერი (xsrftoken)

ვებგვერდიდან მავნე აპლიკაციის საშუალებით გაყალბებული მოთხოვნებით მონაცემების გამოთხოვის აღკვეთისათვის გამოყენებულია ყალბი მოთხოვნის აღკვეთის ფუნქციონალი, რომელიც მუშაობის პროცესში სპეციალურად გენერირებულ ყალბი მოთხოვნის აღკვეთის მარკერს გამოიყენებს. აღნიშნული მარკერი „მზა-ჩანაწერის“ (Cookies) სახით ინახება კომპიუტერში და აუცილებელია ვებგვერდის მუშაობისათვის.

ყალბი მოთხოვნის აღკვეთის მარკერი (xsrftoken) ინახება მომხმარებლის კომპიუტერში და მისი შენახვის ვადა 30 წუთია. აღნიშნული "მზა-ჩანაწერი" (Cookies) ვებბრაუზერის დახურვისას ავტომატურად იშლება.

Google Analytic-ის მომხმარებლის შიდა იდენტიფიკატორი

Google Analytics არის მარტივი, ადვილად გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ვებგვერდების მფლობელებს, მიიღონ ვებგვერდის მომხმარებლებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები.

აღნიშნული ანალიტიკური ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში თქვენს კომპიუტერში გროვდება გარკვეული ტიპის „მზა-ჩანაწერები“ (Cookies).

Google Analytic-ის მომხმარებლის შიდა იდენტიფიკატორი გამოიყენება მომხმარებლების სტატისტიკური იდენტიფიცირებისთვის და მომხმარებლის კომპიუტერში ინახება 2 წლის განმავლობაში. მისი ნაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩანერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ნაშლის მეთოდი.

Google Analytic-ის მოთხოვნის დრო

Google Analytic-ის მოთხოვნის დრო გამოიყენება მოთხოვნის სიჩქარის იდენტიფიცირებისათვის და მომხმარებლის კომპიუტერში ინახება 1 წუთის განმავლობაში.

მისი ნაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩანერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ნაშლის მეთოდი.

Google Analytic-ის მომხმარებლის დროებითი იდენტიფიკატორი

Google Analytic-ის დროებითი იდენტიფიკატორი გამოიყენება მომხმარებლების დიფერენცირებისთვის და მომხმარებლის კომპიუტერში ინახება 24 საათის განმავლობაში. მისი ნაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩანერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ნაშლის მეთოდი.

Google-ის სხვა „მზა-ჩანაწერები“

Google-ის სხვა „მზა-ჩანაწერები“ გამოიყენება ვიზიტორების დათვალიერების ჩვევების, მონაცემთა ნაკადის, მონაცემთა წყაროსა და სხვა ინფორმაციის გასაანალიზებლად.

მისი ნაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩანერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ნაშლის მეთოდი.

ადაპტირებული ფუნქციონალის „მზა-ჩანაწერები“ (ხმა, შრიფტის ზომა და კონტრასტი)

Laravel-ის პროგრამული ჩარჩოს სესიის იდენტიფიკატორი (laravel_session)

მომხმარებლის მოთხოვნის ვერიფიკაციის მარკერი

პორტალზე ჩაშენებული კითხვარების შექმნისათვის განკუთვნილი „მზა-ჩანაწერები“

ადაპტირებული ფუნქციონალის „მზა-ჩანაწერები“ გამოიყენება ვებგვერდის ადაპტირებული ფუნქციონალის გააქტიურებისათვის.

აღნიშნული „მზა-ჩანაწერები“ მომხმარებლის კომპიუტერში ინახება სესიის დასრულებამდე და აუცილებელია ვებგვერდის მუშაობისათვის.

Laravel-ის პროგრამული ჩარჩოს სესიის იდენტიფიკატორი გამოიყენება მომხმარებლის სესიის დასადგენად და აუცილებელია ვებგვერდის მუშაობისათვის.

ის გამოიყენება მომხმარებლის მიერ არჩეული ენის, შრიფტის ფერისა და სხვა პერსონალურად არჩეული პარამეტრების იდენტიფიცირებისთვის.

Laravel-ის პროგრამული ჩარჩოს სესიის იდენტიფიკატორი (laravel_session) ინახება მომხმარებლის კომპიუტერში და იშლება სესიის დასრულების, ან ვებბრაუზერის დახურვისთანავე.

მომხმარებლის მოთხოვნის ვერიფიკაციის მარკერი წარმოადგენს გაყალბების საწინააღმდეგო „მზა-ჩანაწერს“ (Cookies) და გამოიყენება იმისთვის, რომ ვებგვერდზე დაიბლოკოს ინფორმაციის არაავტორიზებული განთავსება (Cross-Site Request Forgery).

ის აუცილებელია ვებგვერდით სარგებლობისთვის და მისი გამოყენებით მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება არ მიმდინარეობს.

მომხმარებლის მოთხოვნის ვერიფიკაციის მარკერი ინახება მომხმარებლის კომპიუტერში და ვებბრაუზერის დახურვისას ავტომატურად იშლება.

აღნიშნული „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) იქმნება იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს პორტალზე კითხვარის შევსება. ის აუცილებელია ვებგვერდით სარგებლობისათვის.

მისი გამოყენებით, კითხვარის საბოლოო დასრულებამდე, გროვდება მომხმარებლის მიერ გაცემული პასუხების შედეგები.

პორტალზე ჩაშენებული კითხვარების შექმნისათვის განკუთვნილი „მზა-ჩანაწერები“ (Cookies) ინახება მომხმარებლის კომპიუტერში. მისი ნაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩაწერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) ნაშლის მეთოდით.

ვიზიტორის „მზა-ჩანაწერი“

აღნიშნული „მზა-ჩანაწერი“ (Cookies) იქმნება იმისათვის, რომ ვებგვერდის შემდგომი გამოყენების დროს გაამარტივოს მასთან მუშაობა.

ვიზიტორის „მზა-ჩანაწერი“ (Cookies) ინახება მომხმარებლის კომპიუტერში, იქმნება მომხმარებლის ტიპის პირველი არჩევის დროს და მისი წაშლა შესაძლებელია უშუალოდ კომპიუტერში ჩანერილი ვებბრაუზერის პარამეტრებიდან „მზა-ჩანაწერების“ (Cookies) წაშლის მეთოდით.